

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	14
6. ძირითადი საშუალებები	15
7. სხვა აქტივები	15
8. კლიენტების მოზარებული აქტივები	15
9. სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	16
10. ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	16
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
12. სხვა ვალდებულებები	16
13. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	17
14. კაპიტალი	17
15. შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	18
16. საპროცენტო შემოსავალი	18
17. ადმინისტრაციული ხარჯი	18
18. საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	18
19. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება	19
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	19
21. პირობითი ვალდებულებები	19
22. ფინანსური რისკების მართვა	19
23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	23
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ „სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ“-ის და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში - ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენს ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც წარმოდგენილია მენეჯმენტის შეფასება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყარო თავისუფალ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, ასევე შედარებით მცირე მოცულობის შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან.

ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ცვლილების შემდეგ ჯგუფი აქტიურად მუშაობს მსხვილი კორპორატიული კლიენტების მოზიდვაზე. ამასთანავე, მენეჯმენტს აქვს პოზიტიური მოლოდინი ქვეყანაში კაპიტალის ბაზრების განვითარების მიმართ საშუალოვადიან პერიოდში, რაც, მათი შეფასებით, ხელს შეუწყობს ჯგუფის საქმიანობის მასშტაბების ზრდას და შემოსავლების დივერსიფიკაციას.

ამჟამად ჯგუფი საკუთარი ოპერაციებით სრულად ვერ აფინანსებს მიმდინარე ხარჯებს და იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს. შესაბამისად, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება გარკვეულწილად დამოკიდებულია მომავალში დაგეგმილი პროექტების წარმატებით განხორციელებაზე.

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას. ამ დრომდე კი მეწილე გამოხატავს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში,

უზრუნველყოს ჯგუფი საქმიანობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად საჭირო ფინანსური მხარდაჭერით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლავლებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვაპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

31 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო.

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

31 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო.

სს „ჰერიტიჯ სიკიურითიზ“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,493	2,710
გაცემული სუბორდინირებული სესხი		-	1,037,339
სხვა აქტივები	7	15,713	18,328
კლიენტების მოზარებული აქტივები	8	6,204,701	11,075,579
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	9	1,153,138	192,617
ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	10	92,415	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	203,601	194,341
სულ აქტივები		7,674,061	12,520,914
ვალდებულებები			
კლიენტების ანგარიშები	8	6,204,701	11,075,579
სხვა ვალდებულებები	12	130,155	130,372
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	13	54,798	22,320
სულ ვალდებულებები		6,389,654	11,228,271
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	506,877	506,877
საემისიო კაპიტალი	14	77,317	77,317
სხვა რეზერვები	14	654	(279)
გაუნაწილებელი მოგება	14	699,909	709,078
სულ მფლობელის კაპიტალი		1,284,757	1,292,993
არამაკონტროლებელი წილი	14	(350)	(350)
სულ კაპიტალი		1,284,407	1,292,643
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,674,061	12,520,914

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 31 მარტს:

თენგიზ ლაშხი
დირექტორი

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

სს „ჰერითიჯ სიქიურითიზ“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,493	2,710
გაცემული სუბორდინირებული სესხი		-	1,037,339
სხვა აქტივები	7	15,713	18,328
კლიენტების მობარებული აქტივები	8	6,204,701	11,075,579
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	9	1,153,138	192,617
ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	10	92,415	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	203,601	194,341
სულ აქტივები		7,674,061	12,520,914
ვალდებულებები			
კლიენტების ანგარიშები	8	6,204,701	11,075,579
სხვა ვალდებულებები	12	130,155	130,372
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	13	54,798	22,320
სულ ვალდებულებები		6,389,654	11,228,271
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	506,877	506,877
საემისიო კაპიტალი	14	77,317	77,317
სხვა რეზერვები	14	654	(279)
გაუნაწილებელი მოგება	14	699,909	709,078
სულ მფლობელის კაპიტალი		1,284,757	1,292,993
არამაკონტროლებელი წილი	14	(350)	(350)
სულ კაპიტალი		1,284,407	1,292,643
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,674,061	12,520,914

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 31 მარტს:


 თენგიზ ლაშვილი
 დირექტორი




 ვაკტერინე გურული
 მთავარი ბუღალტერი

სს „ჰერთიჯ სიქიურიტიზ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2025	2024
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	15	14,016	14,060
საპროცენტო შემოსავალი	16	110,500	124,795
სულ შემოსავალი		124,516	138,855
ადმინისტრაციული ხარჯი	17	(105,041)	(137,452)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	18	(62,642)	(47,456)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება	19	(27,022)	41,849
ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	20	61,020	(18,598)
ზარალი დაბეგვრამდე		(9,169)	(22,802)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო წლის ზარალი		(9,169)	(22,802)
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება		933	(92)
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი		(8,236)	(22,894)
საანგარიშგებო წლის ზარალი განკუთვნილი:			
სათაო კომპანიის მფლობელები		(8,236)	(22,894)
არამაკონტროლებელი წილი		-	-

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	506,877	77,317	731,880	(187)	1,315,887	(350)	1,315,537
წლის სრული ზარალი	-	-	(22,802)	(92)	(22,894)	-	(22,894)
31 დეკემბერი 2024	506,877	77,317	709,078	(279)	1,292,993	(350)	1,292,643
წლის სრული ზარალი	-	-	(9,169)	933	(8,236)	-	(8,236)
31 დეკემბერი 2025	506,877	77,317	699,909	654	1,284,757	(350)	1,284,407

სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	98,008	27,438
მიღებული პროცენტები	11,571	122,794
გადახდილი ხელფასები	(86,372)	(86,386)
მოწოდებულ მომსახურებაზე გადახდილი თანხები	(87,378)	(64,074)
გადახდილი ბანკისა და საბროკერო მომსახურების საკომისიო	(5,776)	(2,284)
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-	(2,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(69,947)	(4,512)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	(86,838)	-
სხვა ფინანსური აქტივებში ამორტიზებული ღირებულებით განთავსებული თანხები, ნეტო	(930,802)	(210,986)
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსებული თანხები, ნეტო	87,921	6,287
გაცემული სესხის დაფარვა	1,013,826	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	84,107	(204,699)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	14,160	(209,211)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	194,341	393,504
საკურსო ზარალი	(4,900)	10,048
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	203,601	194,341

სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს "პერიტიჯ სიქიურითიზ" (ს/ნ 205286457) (ყოფილი სს "ლიბერთი სიქიურითიზ") დაარსდა საქართველოში 2009 წლის 2 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 2015 წლის 31 ივლისს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, ხოლო 2017 წლის 30 აგვისტოს შეიცვალა სახელწოდება და ნაცვლად სს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ისა იწოდება სს "პერიტიჯ სიქიურითიზ" (შემდგომში კომპანია). კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N29.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო და ინსტიტუციონალური კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და კასტოდიანური მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია არის საქართველოს საფონდო ბირჟის წევრი.

კომპანიის მეწილეები და ჯგუფის სტრუქტურა: კომპანიის 100% წილის მფლობელია სს „პერიტიჯ ჰოლდინგზი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ვლადიმერ გურგენიძე.

კომპანია ფლობს 66,67% სს „ლიბერთი ფაინენსში“ (ერთად ჯგუფი). 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ლიბერთი ფაინენსი“-ს საქმიანობა იყო შეჩერებული და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არის განსაზღვრული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს არსებითი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის. ხელმძღვანელობის მსჯელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი.

შვილობილი საწარმო. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს. იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ითვალისწინებს ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები

მიდა ჯგუფური გარიგებები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ გარიგებებიდან, ასევე ზარალი ამ გარიგებებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნებისთვის სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი: ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შეძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი საფასური, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან სხვა სრული შემოსავლის ცვლილების სახით. იმ შემთხვევაში თუ პირობითი ანაზღაურება არ შეესაბამება ფასს 9-ს, იგი ფასდება შესაბამისი ფასს-ის მიხედვით. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და შემდგომი ცვლილებებიც აღირიცხება კაპიტალში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში. პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

სს „პერიოდიკ სიკიურიტიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

• უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში)- განსაზღვრავს თუ როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა და დაადგინოს მიმდინარე გაცვლითი კურსი საანგარიშოდ ერთი ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებები ასევე აწესებს ახალ გამჟღავნების მოთხოვნებს, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ შეფასებული სავალუტო კურსის გამოყენების ეფექტის შეფასება.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების

დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ		ბრიტანული
	დოლარი	ევრო	ფუნტი
31 დეკემბერი 2025	2,6951	3,1737	3,6446
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306	3.5349

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია პირვანდელი ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც ჯგუფი ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად,

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. ჯგუფი სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

ალიარება და ალიარების შეწყვეტა. ჯგუფი ალიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების ალიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც ჯგუფი იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების ალიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

ჯგუფი ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და ალიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და ალიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

ღირებულების განსაზღვრა. საწყისი ალიარებისას ჯგუფი ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც ალიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების ალიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

• **გაუფასურება.** ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. ჯგუფი მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

• **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** ჯგუფის ფინანსური აქტივები, გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხვისა ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ყველა წარდგენილი საანგარიშგებო თარიღისთვის ხვდება იმ კატეგორიაში, რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს. ხოლო ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს კაპიტალის ინსტრუმენტებს, კერძოდ, სხვა კომპანიის აქციებში განხორციელებულ ინვესტიციებს, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად.

• **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც ჯგუფი იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა შეამცირებს მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

• **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

კლიენტების მობარებული აქტივები/კლიენტების ანგარიშები. მოიცავს აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებსაც ჯგუფი ფლობს კლიენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ჯგუფს აქვს უფლება განკარგოს კლიენტის მიერ მობარებული სახსრები. ნაშთები წარმოდგენილია პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულებით, ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აისახება ერთდროულად აქტივის და ვალდებულების მხარეს. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის ლიკვიდობისა და სავალუტო რისკებზე, ვინაიდან კლიენტების მობარებული აქტივების ცვლილება, ასევე იწვევს ვალდებულებების ანგარიშის შესაბამის ცვლილებას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ზარალის ანარცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე

სს „ჰერთიჯ სიკიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი ივარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია სააქციო კაპიტალად. გამოშვებული და შევსებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან. ჯგუფი კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. კლიენტი უფლებას აძლევს ჯგუფს მართოს აღნიშნულ პლატფორმაზე განთავსებული მისი აქტივები საკუთარი ერთპიროვნული, საბოლოო და აბსოლიტური შეხედულებისამებრ. საბროკერო კომპანიის ანაზღაურება განისაზღვრება მხარეების შეთანხმების შესაბამისად და როგორც წესი გამოსახულია გენერირებული სარგებლის პროცენტის სახით.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია ლიკვიდურობის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ლიკვიდურობის მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისთვის, მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც არაარსებითი ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სუბორდინირებული სესხის საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა 12 თვიანი პერიოდისთვის. ჯგუფი ვადაგადაცილებების შესახებ ინფორმაციას იყენებს იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. მიიჩნევა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

• საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• რეალური ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);

დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

• ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა

ჯგუფის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს აქვს უარყოფითი შედეგი, წლის ზარალმა შეადგინა 8,236 ლარი;
- ჯგუფის შემოსავლები სრულად უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებზე გაწეულ საბროკერო მომსახურებას. საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროებია ჯგუფის ოპერაციები და დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი.
- იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები:
- როგორც საანგარიშგებო, ასევე ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, მენეჯმენტი აქტიურად მუშაობდა განახლებული სტრატეგიის შესაბამისად კორპორატიული კლიენტების მოზიდვისთვის ხელსაყრელი პირობების და ეფექტური მომსახურების შეთავაზებაზე. ჯგუფის საქმიანობის მასშტაბების ზრდა ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოში კაპიტალის ბაზრის მომავალ განვითარებაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჯგუფის საქმიანობის მასშტაბების ბუნებრივ ზრდას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- ამასთან ერთად, დამფუძნებელი მზადაა ფინანსური სირთულეების შემთხვევაში ჯგუფი უზრუნველყოს ფინანსური რესურსებით, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ჯგუფის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში ჯგუფი შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ჯგუფს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ჯგუფი ამჟამად აფასებს აღნიშნული სტანდარტებისა და ცვლილებების შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებასა და შესაბამის შენიშვნებზე.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება (ფასს 18)- ფასს 18 ანაცვლებს ბასს 1-ს, რომელიც ადგენს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და ძირითადი გამჟღავნების მოთხოვნებს. ცვლილებები უმეტესად ზემოქმედებს მოგებისა და ზარალის ანგარიშზე და მოიცავს მოთხოვნას, რომ შემოსავლები და ხარჯები კლასიფიცირდეს სამ ახალ კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური; ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული, ეფექტურობის შესრულების საზომების, შემოსავლებისა და ხარჯების ქვეჯამების წარდგენას და ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციასა და დეზაგრეგაციასთან მიმართებით.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს 9 და ფასს 7);
- არასაჯარო შვილობილი კომპანიები: ინფორმაციის გამჟღავნება (ფასს 19)- ეხება სუბიექტებს, რომლებსაც არ აქვთ საჯარო ანგარიშგების ვალდებულება, მაგრამ მათი მშობელი კომპანიები ამზადებენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სტანდარტების მიხედვით. ფასს 19 საშუალებას აძლევს შესაბამის კომპანიებს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით შემცირებული მოთხოვნების გამოყენება.

სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

პირვანდელი ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2023	11,369
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2024	11,369
შემოსვლა	3,182
გასვლა	-
31 დეკემბერი 2025	14,551
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2023	(7,578)
დარიცხული ცვეთა	(1,081)
გასვლა	-
31 დეკემბერი 2024	(8,659)
დარიცხული ცვეთა	(1,399)
გასვლა	-
31 დეკემბერი 2025	(10,058)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2024	2,710
31 დეკემბერი 2025	4,493

7. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	13,806	13,681
საგადასახადო აქტივი	-	3,674
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,907	973
სულ	15,713	18,328

8. კლიენტების მოზარებული აქტივები

კლიენტების მოზარებული აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები	5,783,334	10,420,204
ფული და ფულის ეკვივალენტები (კლიენტები)	421,367	655,375
სულ	6,204,701	11,075,579

სს „პერიტიჯ სიკიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს ნულოვანი კუპონის მქონე ობლიგაციებს, რომლებიც წარმოდგენილია ამერიკის სახაზინო ობლიგაციებით. აღნიშნული ფინანსური აქტივები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ობლიგაციები შეძენილია ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად (ფასდაკლებით), რის შედეგადაც შემოსავალი აღიარებულია როგორც საპროცენტო შემოსავალი ობლიგაციების ვადის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ფლობს 300,000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს, რომელთა დაფარვის ვადაა 2026 წლის 22 იანვარი, 50,000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს, რომელთა დაფარვის ვადაა 2026 წლის 4 აპრილი და 80,000 ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს, რომელთა დაფარვის ვადაა 2026 წლის 14 მაისი.

საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 29,719 ლარს და წარმოადგენს ფასდაკლებით შეძენილი ობლიგაციების ამორტიზაციის შედეგად დარიცხულ ეფექტურ საპროცენტო შემოსავალს. ინფორმაცია საპროცენტო შემოსავლის შესახებ წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

ჯგუფი ამორტიზებული ღირებულებით აფასებს სხვა ფინანსურ აქტივებს თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს (SPPI) ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

10. ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით მოიცავს ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს ინვესტიციებს შემდეგ აქციებში: BAGY, MSTY, YBTC და YETH, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 92,415 ლარს.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	197,640	191,103
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,961	3,238
სულ	203,601	194,341

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფულადი სახსრები იყო განთავსებული BB- რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საგადასახადო ანარიცხები	128,512	128,512
სხვა	1,643	1,860
სულ	130,155	130,372

სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ანარიცხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 21-ე შენიშვნაში.

13. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელიც გამოიყენება ფასების მოკლევადიანი ცვლილებიდან მოგების მიღების მიზნით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ აკმაყოფილებს ჰეჯირების კონტრაქტებად აღიარების კრიტერიუმებს და წარდგენილია რეალური ღირებულებით. ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფუთ და ქოლ ოფციონებს, ფუთ ოფციონების ღირებულება შეადგენს 58,315 ლარს, ხოლო ქოლ ოფციონის ღირებულება 3,517 ლარს.

14. კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს აქციების ნომინალურ ღირებულებას, სხვა რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას.

სააქციო კაპიტალი

მშობელი კომპანიის სრული ნებადართული კაპიტალი დაყოფილია 1,000,000,000 ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს (ერთი თეთრი).

საზოგადოების შევსებული კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგენდა 506,877 ლარს და დაყოფილი იყო 50,687,674 ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 0.01 ლარი.

2025 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი მოიცავს კომპანიის აქციონერების მიერ აქციის ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით გადახდილ თანხებს, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 77,317 ლარს.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოადგენს რეალური ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით წარმოქმნილ გადაფასების შედეგს.

მოთხოვნები კაპიტალთან დაკავშირებით

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500,000 ლარს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენდა 1,284,407 ლარს. შესაბამისად, მშობელი კომპანიის მხრიდან დაკმაყოფილებულია კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა.

ინფორმაცია მშობელი კომპანიის აქციონერების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

2025 წლის განმავლობაში არ გამოცხადებულა და გაცემულა დივიდენდები.

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან

შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
საკომისიო შემოსავალი აქტივების მართვის მომსახურებიდან	13,176	13,220
სხვა	840	840
სულ	14,016	14,060

16. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან	59,382	52,604
საპროცენტო შემოსავალი სხვა ფინანსური აქტივებიდან	29,719	1,400
საპროცენტო შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	21,399	70,791
სულ	110,500	124,795

17. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
შრომის ანაზღაურება	(49,520)	(49,444)
პროფესიული მომსახურება	(25,137)	(16,893)
იჯარის ხარჯი	(15,800)	(12,000)
დაზღვევის ხარჯი	(3,740)	(8,195)
სასამართლო დავის ანარიცხი (შენიშვნა 21)	-	(42,199)
სხვა	(10,844)	(8,721)
სულ	(105,041)	(137,452)

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე სივრცე, რომელიც თავისი მოკლვადიანი ბუნების გამო აღიარებულია პერიოდის ხარჯად.

18. საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი

საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
მომსახურების ხარჯი	(39,299)	(28,365)
შრომის ანაზღაურება	(16,362)	(12,485)
საკომუნიკაციო ხარჯები	(6,802)	(6,468)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(179)	(138)
სულ	(62,642)	(47,456)

სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
გაცემული სუბორდინირებული სესხი	(20,928)	42,907
ფული და ფულის ეკვივალენტები	(4,900)	10,048
სხვა ვალდებულებები	(1,233)	(11,238)
სხვა აქტივები	39	132
სულ	(27,022)	41,849

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება

აღნიშნული წარმოადგენს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე, არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე

კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

2024 წელს მენეჯმენტმა შეაფასა საგადასახადო დავების პოტენციური შედეგები და მოსალოდნელი ზარალის ოდენობა განსაზღვრა დარიცხვის სრული თანხით, 128,512 ლარით. 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარემოებები არსებითად არ შეცვლილა. შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით, 2024 წელს აღიარებული რეზერვის ოდენობა კვლავაც ასახავს საგადასახადო დავასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ვალდებულების საუკეთესო შეფასებას.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული სასამართლო დავების შედეგად.

22. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

ჯგუფის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულებები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივებია მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან, გაცემული

სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სუბორდინირებული სესხები, სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით და ზანკში განთავსებული ფული.

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, სხვა ფინანსური აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	203,601	194,341
ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	92,415	-
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	1,153,138	192,617
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	13,806	13,681
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,907	973
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	1,037,339
სულ ფინანსური აქტივები	1,464,867	1,438,951

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ფინანსური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებში. კერძოდ, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით შეადგენს 1,153,138 ლარს (2024: 192,617 ლარი) და ძირითადად მოიცავს მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და შეადგენს 203,601 ლარს (2024: 194,341 ლარი).

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

სს „ჰერიტიჯ სიკიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,961	145,090	48,901	3,649	203,601
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	13,806	-	-	-	13,806
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	-	1,907	-	-	1,907
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	-	1,153,138	-	-	1,153,138
ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	-	92,415	-	-	92,415
სულ ფინანსური აქტივები	19,767	1,392,550	48,901	3,649	1,464,867
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
სხვა ვალდებულებები	1,643	-	-	-	1,643
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	54,798	-	-	54,798
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,643	54,798	-	-	56,441

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფული და ფულის ეკვივალენტები	3,237	142,409	45,155	3,539	194,341
გაცემული სუბორდინირებული სესხი	-	1,037,339	-	-	1,037,339
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	13,681	-	-	-	13,681
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	-	973	-	-	973
სხვა ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	-	192,617	-	-	192,617
სულ ფინანსური აქტივები	16,918	1,373,338	45,155	3,539	1,438,951
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	ფუნტი	სულ
სხვა ვალდებულებები	1,861	-	-	-	1,861
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	22,320	-	-	22,320
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,861	22,320	-	-	24,181

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

სს „ჰერიტიჯ სიკიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22.ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	267,550	270,204
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(267,550)	(270,204)
ევროს გამყარება 20%-ით	9,780	9,031
ევროს გაუფასურება 20%-ით	(9,780)	(9,031)
ფუნტის გამყარება 20%-ით	730	708
ფუნტის გაუფასურება 20%-ით	(730)	(708)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი

გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
სხვა ვალდებულებები	1,643	-	-	1,643
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	54,798	-	-	54,798
სულ ფინანსური ვალდებულებები	56,441	-	-	56,441

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
სხვა ვალდებულებები	1,860	-	-	1,860
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	22,320	-	-	22,320
სულ ფინანსური ვალდებულებები	24,180	-	-	24,180

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე. გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და კლიენტის მოზარბული აქტივებისა, რაც შეფასებულია კოტირებული ფასების გამოყენებით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა;
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს კანონმდებლობის მოთხოვნების და არსებული რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები, აღიარებული შემოსავლები და ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
კლიენტების მოზარებული აქტივები	ბენეფიციარი მესაკუთრე	1,017,136	1,137,971
კლიენტების მოზარებული აქტივები	სხვა დაკავშირებული მხარე	5,187,565	9,937,608
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	ბენეფიციარი მესაკუთრე	3,294	2,901
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარე	10,512	10,780
კლიენტების ანგარიშები	ბენეფიციარი მესაკუთრე	1,017,136	1,137,971
კლიენტების ანგარიშები	სხვა დაკავშირებული მხარე	5,187,565	9,937,608

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	კავშირის სახე	2025	2024
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	ბენეფიციარი მესაკუთრე	3,294	3,280
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	სხვა დაკავშირებული მხარე	9,882	9,940

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2025	2024
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	25,000	29,658

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.